პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-15 წელი.

№ 136 (1306) | ხუთშაბათი, 13 ნოემბერი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



7 ნოემბერი, 1958 წელი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი მოსკოვში, წითელ მოედანზე.

სურათზე: ფიზკულტურელებიდემონსტრაციაზე.

ფოტო ნ. კულეშოვისა.

ჩვენი კონკურსი

## ყველაზე პოპულარული სპორტსმენი საქართველოში

ვინ იყო საქართველოში ყველაზე პოპულარული სპორტსმენი 1958 წელს? ასეთი კითხვით მიმართავს ჩვენი გაზეთი თავის მკითხველებს. ამ საინტერესო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას. დასახელებული უნდა იქნან პოპულარული სპორტსმენი ვაჟები ცალკე და ქალები ცალკე. ვინც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას აღიარებული იქნება ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად საქართველოში 1958 წლის სეზონის შედეგების მიხედვით.

ამასთან რედაქცია აწესებს ორ სპეციალურ ჯილდოს, რომელიც გადაეცემა კონკურსში გამარჯვებულ სპორტსმენებს — ვაჟსა და ქალს. ჯილდოს ექნება წარწერა: „საქართველოში ყველაზე პოპულარულ სპორტსმენს, 1958 წელი".

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გამოგზავნონ თავიანთი მოსაზრებანი წერილობით, შემდეგი მისამართით: „თბილისი, გაზეთ „ლელოს" რედაქციას. „კონკურსისათვის". კონკურსის შედეგები შეჯამდება ახალი წლისათვის და გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის 1959 წლის № 1-ში.

## მ. ბოტვინიკი პირველ ადგილზე

როგორც ადრე ვიუწყებოდით, ვაგენინგენის (ჰოლანდია) საერთაშორისო ტურნირის სტარტზევე დაწინაურდნენ მსოფლიო ჩემპიონი ბოტვინიკი და ჰოლანდიის ჩემპიონი ოსტატი დონერი, რომლებსაც ორი ტურის შემდეგ 1,5:1,5 ქულა ჰქონდათ. მდგომარეობა არც მომდევნო ორი ტურის შემდეგ შეცვლილა. ისინი უკვე 3-3 ქულით იყვნენ წინ. ამიტომ დიდ ინტერესს იწვევდა ტურნირის დასკვნითი, მე-5 ტური, რომელშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ ბოტვინიკი და დონერი.

პარტიის დაძაბულობა განაპირობა დებიუტმაც (ძველინდური დაცვა). ჰოლანდიელმა წინდახედულად მიმართა საბჭოთა გროსმაისტერის გელერის მიერ ერთხელ ბოტვინიკის წინააღმდეგ გამოყენებულ ვარიანტს და შეეცადა კიდეც მის გაუმჯობესებას. მსოფლიო ჩემპიონის წინაშე წამოიჭრა ახალი პრობლემები, რომელთა გადაჭრა დაფასთან დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, მაგრამ ბოტვინიკმა ჩინებულად გაართვა მათ თავი. რთულ მდგომარეობაში დონერმა შეცდომით გაცვალა ლაზიერები, რასაც მოჰყვა უკეთესი დაბოლოება ბოტვინიკისათვის. მან ეს მცირე უპირატესობა გამარჯვებით დააგვირგვინა.

ამრიგად, ტურნირი დამთავრდა ბოტვინიკის გამარჯვებით — 4 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს გროსმაისტერმა ფლორმა და დონერმა — 3 ქულა თვითეულს.

## მშვიდობისა და მეგობრობის ესტაფეტა

ცივი, გამჭოლი ქარი ყინავს ხელებს.ველოსიპედისტთა ჯგუფი კი მაინც გაბედულად მიიწევს გორაკისაკენ. მოწინავე მანქანაზე ირხევა კვერთხზე დამაგრებული ალისფერი ალამი. ერთი დღის შემდეგ ეს კვერთხი უკვე სპორტული თვითმფრინავის მძღოლის კაბინაშია, რომლის ფრთებს ქვეშ მოსჩანს ტატრის მთები, სადღაც სამხრეთში ასეთი კვერთხი — დიდი ქალაქების მოედნების, სოფლის ქუჩების გავლით მოაქვს მორბენლებს.

ლამაზი გზატკეცილებითაა დაღარული ჩეხოსლოვაკიის მთები და ველები. ბევრ ტურისტულ ცნობარში შეიძლება ნახო მათი აღწერა. მაგრამ ამ გზის აღწერას ვერსად შეხვდებით. „იგი გადის მრავალ ადამიანთა გულში", — ასე აღნიშნა უბრალო გლეხმა დედამ მარია კუხტოვამ, რომელმაც ერთხელ ათობით კილომეტრი გაიარა, რომ ამ კვერთხისათვის მიემაგრებინა თავისი ლენტი.

ჩეხებმა ამ გზას უწოდეს მშვიდობისა და მეგობრობის ესტაფეტა. იგი გადაიქცა ორი შესანიშნავი ხალხის ძმობის მძლავრ დემონსტრაციად. ესტაფეტა მიაქვთ სპორტსმენებს, მათ ვინც თავი გამოიჩინა შრომასა და სპორტში. მას ხვდებიან და აცილებენ მუშები, გლეხები, სტუდენტები და მოსწავლეები. ყოველწლიურად დიდდება ესტაფეტაში მონაწილეთა რიცხვი, რადგან რაც დრო გადის, მით უფრო ფართოვდება და მტკიცდება ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის მეგობრობა და ძმური კავშირი. გასულ წელს 300 ათას სპორტსმენს მიჰქონდა იგი.

ათი წლის წინათ პატარა სლოვაკურ სოფელთან, სადაც ჩეხოსლოვაკია-სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარია, ესტაფეტა მოიტანა შესანიშნავმა ჩეხმა სპორტსმენმა ე. ზატოპეკმა, რომელმაც იგი უკრაინელ სპორტსმენს ი. კუცენკოს გადასცა და თან დაუმატა: „გთხოვთ, ჩემი სალამი გადასცეთ ვლადიმერ კუცს, რომელიც აუცილებლად გახდება მსოფლიოს რეკორდსმენი, ეს მე მჯერა".

ისევე, როგორც გასულ წლებში, მიმდინარე წლის 7 ნოემბერს პრაღამ საზეიმო ვითარებაში გააცილა ძმობისა და მეგობრობის ესტაფეტა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს.

• • •

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის თვალწარმტაცი სოფლების ბილიკებითა და გზებით, ქალაქების გზატკეცილებით ერთი თვის განმავლობაში მიჰქონდათ ამ ქვეყნის სპორტსმენებს რუმინეთ-სსრ კავშირის მეგობრობის ესტაფეტა. 5 ნოემბერს იგი 5 მარშრუტის გავლით მოიტანეს ბუქარესტში. აქ რუმინეთის უძლიერესმა მოტოციკლისტებმა ჩაიბარეს და გაემართნენ რუმინეთ-საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრისაკენ.

7 ნოემბერს, დილით რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა კ. მიხაიმ იგი გადასცა მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ხრენოვს.

## უძლიერესის სახელისათვის

გუშინ, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დაიწყო საქართველოს პირველობის გათამაშება ფრენბურთში. მონაწილეობს აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, გორის, რუსთავისა და ბორჯომის ვაჟთა 11 და ქალთა 10 გუნდი.

ჩემპიონატი ტარდება ორ ეტაპად — წინასწარი თამაშები და ფინალი. თავდაპირველად მატჩები თამაშდება ქვეჯგუფებში. აქ პირველ-მეორე ადგილებზე გამოსული კოლექტივები (სულ 6) შექმნიან ფინალურ ჯგუფს, სადაც გათამაშდება პირველი ექვსი ადგილი. დანარჩენი გუნდები იბრძოლებენ მომდევნო ადგილებისათვის. წინასწარი თამაშების შედეგები გუნდს ფინალში ეთვლება.

გუშინ შედგა გათამაშების საზეიმო გახსნა და წინასწარი თამაშები. ფინალში გასვლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გორი-რუსთავისა და ქუთაისი-თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდების შეხვედრას. გამარჯვება მოიპოვა რუსთავისა და თბილისის ფრენბურთელებმა ერთნაირი ანგარიშით — 3:2.

დანარჩენი თამაშებიდან აფხაზეთის ვაჟთა გუნდმა დაამარცხა ბორჯომის კოლექტივი—3:0, პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა თბილისის განათლების განყოფილების გუნდი—3:0. ქალთა გუნდებს შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაამარცხა ქუთაისის გუნდი—3:0. „განთიადმა" — თბილისის განათლების განყოფილების გუნდი—3:0, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა აჭარის ნაკრები — 3:0.

შეჯიბრება გრძელდება.

## ვინ გადავა „ა" კლასში

„ბ" კლასის უძლიერესი საფეხბურთო გუნდების ტურნირი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მესამე ტურისათვის, რომლის მატჩები შედგა 11-12 ნოემბერს, გუნდები ცხრილში გადანაწილებული იყვნენ ისე, რომ მათ შორის განსხვავება სულ თითო ქულას უდრიდა, მაგრამ მესამე ტურის მატჩებს საგრძნობი ცვლილებების შეტანა შეეძლო ამ განლაგებაში და აუტსაიდერი ფაქტიურად კარგავდა პირველ ადგილზე გასვლის ყოველგვარ შანსს (მომდევნო ადგილებს კი ამ გათამაშებაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან მეორე პრიზიორიც კი მომავალ წელს „ბ" კლასში რჩება).

ოდესისა და ლვოვის გუნდებს 11 ნოემბრისათვის თითო ქულით ბოლო ადგილები ეკავათ, ამიტომ მათ შორის მატჩში აღებულ ქულებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სატურნირო ცხრილში გადაადგილებისათვის. ამის გამო იყო, რომ მოწინააღმდეგეები თავგამოდებით იბრძოდნენ 90 წუთის განმავლობაში.

ლვოვის არმიელებზე პირველ ყოვლისა, შეიძლება ითქვას, რომ ესაა ე. წ. „უიღბლო" გუნდი. მართალია, ანგარიში გახსნა ოდესელმა პოდლესნიმ (იგი ოდესლაც თბილისის სკვო-ში თამაშობდა), მაგრამ მალე წინ ლვოველები იყვნენ — 2:1. ტაიმის დასასრულს ანგარიში ისევ გათანაბრდა — 2:2.

მეორე ტაიმის დასაწყისში ოდესელებმა ჯერ პენალტი გაიტანეს, ხოლო მე-10 წუთზე მათი 3 თავდამსხმელი პირისპირ დარჩა მეკარე სუსლასთან. მეკარემ გმირულად იბრძოლა მათ წინააღმდეგ და მხოლოდ მეოთხე დარტყმის შემდეგ გაუშვა ბურთი.

ეს ანგარიში — 4:2 ოდესის გუნდის სასარგებლოდ დარჩა ბოლომდე, თუმცა ლვოველებს რამდენიმეჯერ ჰქონდათ ბურთის გატანის საშუალება.

გათამაშების ორი ფავორიტი — — როსტოვისა და სვერდლოვსკის გუნდები — თამაშობდნენ გუშინ, და პირველობის ორივე კანდიდატმა შეძლო გამარჯვების მოპოვება, მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს იყო უაღრესად ძნელ ბრძოლაში მოპოვებული ქულები. მეტიც, როსტოველები თამაშობდნენ სე-

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

# გამოცდილებათა გაზიარება დიდად შეგვიწყობს ხელს საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის მზადებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთავარია საქმისადმი სიყვარული

არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ბათუმში, სოხუმში, ფოთსა და სხვაგან ერთობ ნელი ტემპით ხდება თანრიგოსან მოკრივეთა მომზადება. ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენენ ფოთელი ნ. ამაშუკელი და ქუთაისელი ჯ. კვანტალიანი. პირველი უაღრესად მშვიდი, თავდაჭერილი მებრძოლია. ამასთან მეტად შეუპოვარი და ნებისყოფიანი. კვანტალიანი დიდი ტემპერამენტის მქონე, სწრაფი, ტაქტიკურად ჩამოყალიბებული მოკრივეა. იგი კრივის ქუთაისური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია, პირველხარისხოვანი სპორტსმენების ფ. ლომიძის, ნ. თორთლაძის, თ. გუჯაბიძის სტილის გამგრძელებელი. მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს ორი მოკრივე მხოლოდ გამონაკლისს წარმოადგენს, ხოლო სოხუმსა და ბათუმში მათი მსგავსიც არ არის. სოხუმში არსებობს კრივის სპეციალური დარბაზი, მუშაობს 5 ჯგუფი, მაგრამ ისეთი მოკრივე, რომელსაც შეეძლოს რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში მონაწილეობა, არსად ჩანს. ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ფოთში და არც ქუთაისში კრივის სპეციალიზებული დარბაზები არ გააჩნიათ.

კრივში, ისევე, როგორც სპორტის სხვა სახეობებში, წარმატებას პირველ რიგში განაპირობებს ენთუზიაზმი, რომელიც ჭარბად უნდა გააჩნდეთ მწვრთნელებსა და სპორტულ საზოგადოებრიობას. ჩვენში, სამწუხაროდ (განსაკუთრებით რაიონებში) დამკვიდრებულია არასწორი შეხედულება, თითქოს მაღალი კლასის მოკრივეთა მომზადება შეუძლიათ მხოლოდ გამოცდილ მწვრთნელებს ან წარსულში პირველხარისხოვან მოკრივეებს, თუ, რა თქმა უნდა, მათ სამუშაოდ გააჩნიათ პირველხარისხოვანი საწვრთნელი ბაზა.

საბჭოთა კრივის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მწვრთნელთა შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა და ენთუზიაზმი ნაწილობრივ ანაზღაურებს კრივის ცოდნაში არსებულ ხარვეზებს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ერთ-ერთი მოწინავე მწვრთნელი, წარსულში მეორეხარისხოვანი მოკრივე ა. გეტიე, რომელმაც აღზარდა განთქმულ მოკრივეთა მთელი პლეადა: ა. ტიმოშინი, ვ. მიხაილოვი, ა. ივანოვი; ან დამსახურებული მწვრთნელი ვ. ოგურენკოვი, რომელიც წვრთნიდა რა საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდს, არასოდეს არ ყოფილა მოკრივე.

როგორც ვხედავთ, მწვრთნელის უმაღლესი კვალიფიკაცია ერთადერთი და გადამწყვეტი ფაქტორი არაა. იმისათვის, რომ ჩვენს რაიონებში აღიზარდონ პირველხარისხოვანი მოკრივეები, თვით ეს სახეობა უნდა იყოს მასობრივი და მას უნდა ხელმძღვანელობდნენ საქმის მოყვარული, ენერგიული ადამიანები. აუცილებელი არაა მაღალი კვალიფიკაცია, მთავარია მწვრთნელს ჰქონდეს ალღო, ნიჭიერი ახალგაზრდების შერჩევის უნარი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ამით გამოცდილი, მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელთა როლის გაუბრალოება არ გვინდა, მაგრამ, ვინაიდან რესპუბლიკის რაიონებში ასეთთა ნაკლებობას განვიცდით, სხვა გამოსავალი არ არის. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ხშირად კარგი ალღოს მქონე მწვრთნელი უფრო დიდ საქმეს აკეთებს, ვიდრე სახელმოხვეჭილი პედაგოგი. ასე, მაგალითად, ირკუტსკში გაიზარდა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვ. საფრონოვი, ხოლო შორეულ ციმბირში — ევროპის ჩემპიონი მძიმე წონაში ა. აბრამოვი. არც ერთ მათგანს არ ჰყავდა ტიტულიანი მწვრთნელი. საქმის მოყვარულმა აღმზრდელებმა დროზე შეამჩნიეს ამ სპორტსმენებში დიდი ფიზიკური ძალა, მოკრივისათვის მეტად საჭირო თვისებები და წარმატებებმაც სულ მალე იჩინა თავი.

დარწმუნებული ვარ, რომ კარგი მოკრივეების აღზრდა შეიძლება სვანეთში, განსაკუთრებით მძიმე წონაში. აქაურ ახალგაზრდებს აქვთ დიდი ფიზიკური ძალა, სისწრაფე, თვალის ზომა. სხვა რაა საჭირო მოკრივისათვის? შეაყვარე მას კრივი, შეარჩიე განსაკუთრებით პერსპექტივიანები და სულ მალე რესპუბლიკას ეყოლება პირველხარისხოვანი მძიმე წონის მოკრივეები.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო. საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობის წინაშე დგას ამოცანა: გავხადოთ კრივი მასობრივი, ვეძებოთ ნიჭიერი ახალგაზრდები და დავაყენოთ , ისინი სწორ გზაზე. დანარჩენი თავისით მოვა.

**ა. გოლდშტეინი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

## ჩოქბჯენში „ტრიალის" შესწავლის შესახებ

„ტრიალის" შესრულება კლასიკურ ჭიდაობაში შეიძლება მრავალ კომბინაციაში და დამოკიდებულია იმაზე თუ დაცვის რომელ საშუალებას აირჩევს მოწინააღმდეგე.

ჩემი სპორტული გამოცდილებიდან შეძლებისდაგვარად შევეცადე ჩამომეყალიბებინა 8 კომბინირებული ილეთი. ვფიქრობ, ამ ილეთების შესწავლა შესაფერის დახმარებას გაუწევს მოჭიდავეებს სპორტული ოსტატობის ამაღლებაში.

პირველი კომბინაციაა „ტრიალი" მაჯის დაჭერით: ხშირად მოწინააღმდეგე არ გვაძლევს ხელების შეერთების საშუალებას წელზე მკლავების მოხვევის დროს. ასეთ დროს იგი მაჯაში ჩაგვჭიდებს ხელს და ზემოთ აწევით ან დაბლა დაწევით გვაწყვეტინებს ჩავლებას, რის შედეგადაც „ტრიალის" გაკეთება თითქმის შეუძლებელი ხდება. როდესაც მოწინააღმდეგეს ჩავლებული აქვს ჩვენი მარცხენა მაჯა (სურ. №3) და ეწევა მას ძირს, ჩვენც მარჯვენა ხელს ჩავავლებთ მოწინააღმდეგის მარცხენა მაჯას (სურ. № 4) და ვეწევით მას გვერდზე და ზევით. ამით ჩავლება მაგრდება, ხოლო თავდაცვა სუსტდება (ვინაიდან მოწინააღმდეგის ხელი მჭიდროდ გვიჭირავს და მარცხნივ საყრდენი მას უკვე არა აქვს). მარცხენა ფეხი მთლიანი ტერფით გვიდგას მარცხენა მხარეს (სურ. №5). მარჯვენა ფეხის ცერით ვირეკლავთ, ვწევთ წინ და გვერდზე. ამ დროს მთელი სიმძიმე ჩვენს მარცხენა ხელზეა, რომელიც ნიდაყვითაა დაყრდნობილი მარცხენა ფეხზე, მუხლთან. შემდეგ მუხლით ვეხებით (სურ. №6) ლეიბს, ვჭდებით ცალ მხარეს მენჯ-ბარძაყის სახსრის მიდამოთი, იმავე წამს მარჯვენა ფეხი მახვილი კუთხით გადმოგვაქვს მარცხენა ფეხის ქუსლთან, რათა თავი დავიზღვიოთ დახურვისაგან (სურ. №6 და №7) და ვწვებით დელტისებური კუნთის ზურგისმხარე ნაწილით, კისერი მაქსიმალურად დამოკლებულია, ხოლო მარცხენა მხარი ძირს დაწეული (ასეთ მდგომარეობაში კისერი მეტი შრომისუნარიანია). ფეხების ბიძგის საშუალებით მთელი სიმძიმე გადაგვაქვს ბეჭებზე და კისერზე, რითაც გვეძლევა ხიდზე შედგომის საშუალება (სურ. № 7). გადატრიალებისას ტრიალდება მოწინააღმდეგეც (სურ. № 8). ამ მდგომარეობაში ხელმეორედ გადაბრუნება ბევრად ადვილი ხდება.

ფოტო და ტექსტი სპორტის ოსტატ
**ვ. მაისურაძისა.**



## პირველ ეტაპზე

3 კვირას გრძელდებოდა გორის VI საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ტანვარჯიში, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ველოსპორტი, ჭადრაკი და სხვა სახეობანი. პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის გამარჯვებული გამოვიდნენ პედაგოგიური ინსტიტუტისა და ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ფიზკულტურელები. მეორე ჯგუფში წინ იყვნენ საკონსერვო ქარხნის, ადგილობრივი საწარმოო კომბინატისა და № 3 ტრესტის გუნდები. მესამე ჯგუფში გაიმარჯვეს მე-4, მე-5 და 1-ლი საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილა შეჯიბრების შედეგები და დაამტკიცა ქალაქის ნაკრები გუნდების შემადგენლობა, რომლებიც მომავალ წელს მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის II სპარტაკიადაზე.

**გ. როინიშვილი**

## ორ ტურად

წულუკიძის მოსწავლე მძლეოსანთა სარაიონო შეჯიბრების მე-2 ტურში მონაწილეობდა შვიდწლიანი და საშუალო სკოლების 17 გუნდი.

100 მეტრზე რბენაში გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა დ. ბერიძემ, 400 მეტრზე რბენასა და სიმაღლეზე ხტომაში—ლ. ბარდაველიძემ, სიგრძეზე ხტომა მოიგო გ. ესებუამ (ყველანი 1-ლი საშუალო სკოლიდან). ამავე სკოლის გუნდმა გაიმარჯვა ესტაფეტაში 4X100 მეტრზე. მათხოჯის მოსწავლე ლ. უგულავა გამარჯვებული გამოვიდა ყუმბარის ტყორცნასა და ბირთვის კვრაში, ხოლო გორდის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელი ნ. ბზიკაძე — 200 მეტრზე რბენაში. ჭაბუკთა რბენა 400 მეტრზე მოიგო ი. კარაპეტაძემ (გორდი). ესტაფეტა 4X100 მ დამთავრდა 1-ლი სკოლის გუნდის გამარჯვებით.

პირველი და მეორე ტურის შედეგების შეჯამების შედეგად პირველი ადგილი მიეკუთვნა 1-ლი საშუალო სკოლის კოლექტივს. შვიდწლიან სკოლებს შორის გაიმარჯვეს პატარა ჯიხაიშის მოსწავლეებმა.

**ა. ყუფარაძე**

## გაჩაღდა მზადება

კომკავშირის აბაშის რაიონული კომიტეტის პლენუმმა განიხილა სარაიონო სპარტაკიადის ჩატარებისა და საქართველოს 1959 წლის სპარტაკიადაში მონაწილეობის საკითხი, რომლის შესახებ ილაპარაკა ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ძველაიამ. სიტყვებით გამოვიდნენ გ. ნოდია, ნ. გახოკიძე, კ. ლოჩოშვილი, კ. კაჭარავა და სხვ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში გაჩაღდა მზადება სპარტაკიადისათვის. ძველი აბაშის, კვანთის, ნოდიაშის კოლმეურნეობებში სათანადო ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, მოეწყო სპორტული ბაზები, შეძენილ იქნა ინვენტარი. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ეწერის, ტყვირის, ნორიოს, სეფიეთისა და ზოგიერთი სხვა სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების შესახებ. ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში. ფიზკულტურულ კოლექტივებს სუსტად ეხმარება „კოლმეურნის" რაისაბჭო.

პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

**ი. თოფურია**

# ი მ ა რ ჯ ვ ე ბ ს ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა

საქართველოში მხატვრული ტანვარჯიშის პოპულარიზაციის მიზნით ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა გადაწყვიტა შეჯიბრებები ამ სახეობაში ჩატარდეს არა მარტო თბილისში, არამედ სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც. ეს გადაწყვეტილება უდავოდ სასარგებლო და საყურადღებოა.

რესპუბლიკის მორიგი პირადგუნდური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში ჩატარდა ქუთაისში. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებმა დროულად იზრუნეს ღონისძიების მაღალ დონეზე ჩასატარებლად: მომზადდა ლამაზად გაფორმებული აფიშები, ტანმოვარჯიშეებს დაეთმოთ ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრალური დარბაზი.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მხოლოდ თბილისელები (2 გუნდი) და ქუთაისელები (1 გუნდი). აფხაზეთის მთელი „დელეგაცია“ ამოიწურებოდა 1 მსაჯით, ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებს სულაც არ მიუღიათ მასში მონაწილეობა.

კარგად შეასრულეს ვარჯიშები ოსტატის პროგრამით მონაწილე გოგონებმა. გამოცდილ ოსტატებთან ე. ადამკოვასა და რ. პენკოვასთან ერთად თავიდანვე დაწინაურდნენ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეები ნ. სალაძე, ა. ტიუვაევა და ნ. ხერხეულიძე. ბრძოლა ჩემპიონობისათვის მათ შორის მეტად დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა. საბოლოოდ გამარჯვება მოიპოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ნ. ხერხეულიძემ, რომელმაც პირველად მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება. გამარჯვებულს სულ 0,05 ქულით ჩამორჩა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ა. ტიუვაევა. მესამე ადგილზეა უნივერსიტეტის სტუდენტი ნ. სალაძე. სამივე პრიზიორმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი აღმოჩნდა თბილისის მეორე კოლექტივი.

ვინაიდან საკავშირო პირველობაზე გუნდური ჩათვლისათვის საჭიროა კოლექტიური თავისუფალი ვარჯიშის დემონსტრირება, განვლილი პირველობის პროგრამაში პირველად იქნა შეტანილი კოლექტიური გამოსვლები საგნებით. მართალია, გუნდების მიერ შესრულებული ვარჯიშები გამოირჩეოდა ლამაზი კომპოზიციური წყობით, მაგრამ შესრულების პროცესში მონაწილეთა შორის არ იგრძნობოდა შეთანხმებულობა [illegible] კბილება, რის გამოც [illegible] შეფასება.

ერთხელ კიდევ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის გარდა, ჩვენს რესპუბლიკაში ნაკლებადაა კულტივირებული მხატვრული ტანვარჯიში, რაც ზღუდავს სექციებში მომეცადინეთა რაოდენობას. თუ არ გვექნა სათანადო მასობრიობა სპორტის ამ სახეობაში, მაღალ სპორტულ მიღწევებზე ფიქრიც კი ძნელია.

**ნ. სალუქვაძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

---

**17 ნოემბერი**
რკინიგზელთა სახლში (პლეხანოვის პროსპექტი № 127) შედგება ფეხბურთის რესპუბლიკური სექციის

**საიუბილეო პლენუმი**

**მიძღვნილი საქართველოს ფეხბურთის 60 და თბილისის მსაჯთა კოლეგიის 35 წლისთავისადმი.**

დასაწყისი 19 საათზე.

---



## ვინ გადავა „ა“ კლასში

(დასასრული)

...სევასტოპოლის მეზღვაურთა გუნდთან და შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ უპირატესობა თამაშის მსვლელობისა, უფრო მეზღვაურთა მხარეს იყო.

მეორე ტაიმში როსტოვის არმიელთა კარში გატანილ იქნა კიდევ ბურთი, მაგრამ მსაჯმა პ. ბელოვმა დაუჯერა თანაშემწის სიგნალს და თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩათვალა გოლი.

მატჩი თითქოს უშედეგოდ უნდა დამთავრებულიყო — მიმდინარეობდა ბოლო წუთები, მაგრამ ამ დროს როსტოველმა ნორაკიძემ დამცველთა შეცდომა გამოიყენა და ანგარიში გახსნა — 1:0.

ამ გოლმა როსტოვის გუნდს მოუტანა მეტად სერიოზული გამარჯვება.

ანალოგიური შემთხვევა მოხდა სვერდლოვსკისა და ხაბაროვსკის არმიელთა შეხვედრაშიც. როცა ანგარიში იყო 2:1 სვერდლოვსკის სასარგებლოდ და ხაბაროვსკელები დაჟინებით ცდილობდნენ ანგარიშის გათანაბრებას, სვერდლოვსკელთა მარჯვენა შუამარბმა პივიკოვმა მოულოდნელად მიიღო გადაცემა და ახლო მანძილიდან გაიტანა ბურთი. მაგრამ მსაჯმა შევჩ...ოვმა ამჯამად არ მიაქცია ყურადღება თანაშემწის სიგნალს და ჩათვალა გოლი.

აღნიშნული მატჩის დასაწყისში სვერდლოვსკის გუნდს ყოველმხრივი უპირატესობა ჰქონდა და ვოზჟაევმა და პივიკოვმა სწრაფად მოახდინეს ამ უპირატესობის რეალიზაცია — 2:0. ტაიმის დასასრულს გრეკმა გაქვითა ერთი ბურთი — 1:2.

შესვენების შემდეგ ხაბაროვსკელი ფეხბურთელები გაცილებით უკეთ თამაშობდნენ, მაგრამ მათ კარში გატანილ იქნა ზემოთ აღწერილი გოლი. მაინც, ბოროდინმა შეძლო მეორე ბურთის გატანა და გუნდს ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ პივიკოვმა გონგის შემდეგ ულამაზესი დარტყმით განამტკიცა თავისი გუნდის გამარჯვება. გაიმარჯვეს სვერდლოვსკელებმა — 4:2.

* * *

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 13 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსტოვი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 4 |
| სვერდლოვსკი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 3 |
| სევასტოპოლი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 3 |
| ოდესა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 3 |
| ხაბაროვსკი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 2 |
| ლვოვი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:9 | 1 |

* * *

**სურათზე:** თამაშის მომენტი ოდესისა და ლვოვის გუნდებს შორის. ოდესელთა მეკარე კარაკაზოვი იღებს ბურთს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## „ბებრები“ კვლავ იწყებენ თამაშს

როცა თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელები ჩავედით მოსკოვში ჩვენს ტრადიციულ საკავშირო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, პირველი საზრუნავი ისა გვქონდა, რომ მოგვეგვარებინა ფორმისა და ბუცების საკითხი. მოსკოვს წასვლა ცოტა არ იყოს ნაუცბათევად მოგვიხდა და ამიტომ ე. წ. სამეურნეო საქმეები მაინცდამაინც წესრიგში არა გვქონდა: მაისურებს არ ეწერა ნომრები, ბუცები „გაუტეხავი“ იყო და, რა დასამალია, ზოგიერთი ჩვენგანიც არ იყო სათანადოდ ნავარჯიშევი და მომზადებული.

ვეტერანთა ტურნირის გადახდილ ბრძოლათა შესახებ თხრობას ამ „წვრილმანებით“ ვიწყებთ იმიტომ, რომ თბილისელებს ალბათ მომავალშიც მოუხდებათ თავიანთი ქალაქის სპორტული პრესტიჟის დაცვა მსგავს გათამაშებაში და სამზადისი როგორც სპეციალური, ისე სამეურნეოც, დროზე უნდა იქნას ჩატარებული. ამაზე ზრუნვა მართებთ ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტსა და მის საფეხბურთო სექციას.

პირველი მატჩი დანიშნული იყო კიევის გუნდთან 18 ოქტომბერს, მაგრამ იმ დღეს დილიდან დაწყებული გადაუღებლად წვიმდა. მატჩის მსაჯმა ვ. არხიპოვმა და ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის დირექტორმა ა. რაზუმოვსკიმ დიდხანს ათვალიერეს მინდორი და თამაშის დაწყებამდე სულ მცირე ხნით ადრე გამოგვიცხადეს, რომ იგი ვეებერთელა გუბით არის დაფარული და თამაში ყოვლად შეუძლებელიაო.

წვიმა არ შეწყვეტილა მეორე დღესაც, მაგრამ ნაშუადღევს ოდნავ გამოიდარა და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ნ. ლატიშევმა მინდორზე გამოიძახა მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. აქ იყვნენ სახელმოხვეჭილი ოსტატები ხომიჩი და ივანოვი, გრინინი და ვექტოროვი, კოჩეტკოვი და ლატკოვი, ბაშაშკინი, დემენტიევი და სხვანი.

დადგა ჩვენი მატჩის დღეც. თამაშის წინ კიეველებმა ლამაზი ვაზები მოგვიძღვნეს, ჩვენ კი სამაგიეროდ მათ თბილისის 1500 წლის საიუბილეო სამკერდე ნიშნები გადავეცით (ეს გ. ანთაძემ მოიფიქრა ჯერ კიდევ თბილისში, თორემ შევრცხვებოდით კიეველებთან), რითაც ჩვენი სპორტული მოწინააღმდეგეების დიდი მადლობა დავიმსახურეთ.

კიევის გუნდში თამაშობდნენ იძკოვსკი, ჩისტოხვალოვი, ლერმანი, პრინცი, ვინკოვატოვი, შეგოცკი და სხვანი. მატჩის დასაწყისში ძნელი იყო უპირატესობის გარკვევა, მაგრამ ჩვენი თავდამსხმელები სულ უფრო და უფრო ხშირად უტევდნენ მოპირდაპირე კარს. რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს პანიუკოვმა, ა. პაიჭაძემ, თოდრიამ. მალე თოდრიამ ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში, ხოლო ტაიმის დასასრულს ა. პაიჭაძემ მეორე ბურთი გაიტანა. შესვენების შემდეგ პანიუკოვმა და თოდრიამ ანგარიში თხამდე გაზარდეს და ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა — 4:0. მატჩის დამთავრებისას კიეველებმა პირველად მიულოცეს თბილისელებს გამარჯვება და მათთან ერთად ხელიხელ გადახვეულნი გამოვიდნენ მინდვრიდან.

22 ოქტომბერი გათამაშების გადამწყვეტი დღე იყო.

მატჩი ჩვენი ძლიერი იერიშებით დაიწყო, მაგრამ მოსკოველები მშვიდად, ორგანიზებულად იგერიებდნენ ბურთს და სწრაფად გადმოდიოდნენ კონტრშეტევაზე. შესანიშნავად ითამაშა მეკარე პირაევმა, რომელმაც რამდენიმე მეტად ძნელი ბურთის აღება შეძლო.

თამაში ძლიერ ჭირდა. ფეხი ღრმად იფლობოდა ტალახში, ბურთი დამძიმდა და არ ემორჩილებოდა მოთამაშეებს. მიუხედავად ამისა ა. პაიჭაძემ შეძლო სწრაფ გარღვევაზე გასვლა და ბურთის გატანა.

შემდგომში მოსკოველებმა გაათანაბრეს ანგარიში (სავდუნინი), ხოლო მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ტროფიმოვმა გაიტანა მეორე ბურთი, რომელმაც მოსკოველებს მოუტანა გამარჯვება და მასთან ერთად საპატიო პრიზიც. ჩვენ მეორე ადგილზე გამოვედით.

ვეტერან ფეხბურთელთა ტურნირი მეტად სასარგებლო და საყურადღებო შეჯიბრებაა და მაყურებელთა დიდ ინტერესსაც იწვევს. ამიტომ ჩვენი ქალაქის გუნდი ყოველთვის სრულ მზადყოფნაში უნდა გვყავდეს. ამჟამად ვეტერანები მონაწილეობენ რესპუბლიკის საუკეთესო გუნდების შეჯიბრებაში. ვფიქრობთ, „ბებრებს“ საკმარისი ღონეთი კიდევ აქვთ შემორჩენილი და თავს არ შეირცხვენენ მაყურებელთა წინაშე.

**რ. კავსაძე,**
ვეტერანთა გუნდის მეკარე.

---

გუშინ, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დაიწყო საქართველოს პირველობის გათამაშება ფრენბურთში. მონაწილეობს აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, გორის, რუსთავისა და ბორჯომის ვაჟთა 11 და ქალთა 10 გუნდი.

ჩემპიონატი ტარდება ორ ეტაპად — წინასწარი თამაშები და ფინალი. თავდაპირველად მატჩები თამაშდება ქვეჯგუფებში. აქ პირველ-მეორე ადგილებზე გამოსული კოლექტივები (სულ 6) შექმნიან ფინალურ ჯგუფს, სადაც გათამაშდება პირველი ექვსი ადგილი.

---

I ჯგუფი

XI-XX ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ...ლოკ“. (სამტრ). | 7 | 5 | 2 | 0 | 18:10 | 12 |
| ...6 კომ. რაიონი (...ბილისი) | 6 | 3 | 2 | 1 | 17:4 | 8 |
| ...ხივი“ (რუსთავი) | 6 | 3 | 2 | 1 | 10: 8 | 8 |
| ...პარტ“ (სტალინ) | 6 | 3 | 1 | 2 | 12: 7 | 7 |
| ...ანთ“. (ფოთი) | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 7 |
| ...ანთ“. (გორი) | 7 | 1 | 3 | 3 | 8:12 | 5 |
| ...პარტ“. (თელავი) | 6 | 1 | 1 | 4 | 8:15 | 3 |
| ...დიში“ (ზუგ.) | 5 | 0 | 2 | 3 | 5:10 | 2 |
| ...ოლმ.“ (ქობ.) | 5 | 1 | 0 | 4 | 6:18 | 2 |

...შენიშვნა: „დინამო“ I, რომელიც ...მონაწილეობდა კონკურსგარეშე, ...თამაშებიდან მოიხსნა.

შედგა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა თავის მინდორზე მიიღო ბათუმის „დინამო“. შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა — 0:0. მეორე ტაიმში მოწინააღმდეგეთა კარში გატანილ იქნა თითო ბურთი და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

პირველი გამარჯვება მოიპოვა ჭიათურის „მადნეულმა“ ქუთაისის „დინამოსთან“ შეხვედრაში, რომელიც ჩემპიონობის ერთ-ერთი კანდიდატია. უკვე პირველ ტაიმში ანგარიში იყო 2:0 ჭიათურელთა სასარგებლოდ. შესვენების შემდეგ დინამოელებმა გამოასწორეს თამაში, მაგრამ მაინც განიცადეს დამარცხება ანგარიშით 1:3.

მეტად საინტერესოდ ჩატარდა მატჩი მახარაძეში ადგილობრივ „კოლმეურნესა“ და სოხუმის „დინამოს“ შორის. 90 წუთის დაძაბულმა ბრძოლამ ვერც ერთ გუნდს ვერ მოუტანა უპირატესობა — 1:1.

მოგვყავს XI-XX ადგილებისათვის მებრძოლი გუნდების შეხვედრათა ტექნიკური ანგარიში: „სპარტაკი“ (თელავი)—„ოდიში“ (ზუგდიდი)—4:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია)-26 კომ. სახ. რ-ნი (თბილისი)—1:1, განთიადი“ (გორი)—„განთიადი (ფოთი) — 1:1, „სხივი“ (რუსთავი)-„სპარტაკი“ (სტალინირი) — 1:1.



ეროვნული ბიბლიოთეკა



★

ამას წინათ თბილისში დამთავრდა კომკავშირულ-პროფკავშირული საშემოდგომო კროსი.

• • •

**სურათზე:** 500 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ლიტველი გოგონა ლ. გერიკა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

★

# ევროპის საფეხბურთო მოედნებზე

უნგრეთის 1958-59 წლების ჩემპიონატში მონაწილეობს 14 გუნდი. ბრწყინვალედ დაიწყო შეჯიბრება გასული წლის ჩემპიონმა ბუდაპეშტის მტკ-მ. მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდს მონაწილეობის მიღება უხდებოდა ევროპის ჩემპიონების თასის გათამაშებაშიც, მტკ ზედიზედ იგებდა შეხვედრებს. 7 ტურის შემდეგ ჩემპიონს მოგროვილი აქვს 12 ქულა, მაგრამ მხოლოდ 1 ქულით უსწრებს „ვაშაშს“ (ბუდაპეშტი). უკანასკნელი მატჩებიდან აღსანიშნავია მტკ-„ჰონვედის“ (ბუდაპეშტი) მატჩი, რომელიც ფრედ დამთავრდა—1:1. ლიდერის თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩევიან ცენტრფორვარდი პალოტაში და მარჯვენა გარემარბი შანდორი. წელს პროვინციული კლუბები სულ უფრო და უფრო შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ ბუდაპეშტის ცნობილ კლუბებს.

ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლ. ბაროტიმ საგრძნობლად გადაახალისა გუნდი. მიუხედავად იმისა, რომ გროშიჩი, ბოჟიკი, სოიკა და სხვანი კარგ ფორმაში არიან, მათ მაინც მოუხდათ ნაკრების დატოვება და ახალგაზრდობისათვის გზის დათმობა. უნგრელებმა განახლებული შემადგენლობით დაამარცხეს რუმინეთისა და პოლონეთის გუნდები, ფრედ ითამაშეს იუგოსლაველებთან და წააგეს მხოლოდ საბჭოთა ფეხბურთელებთან.

• • •

ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატი, როგორც ყოველთვის, მიმდინარეობს მწვავე ბრძოლაში პრაღისა და ბრატისლავის გუნდებს შორის. წელსაც სტარტზე შეჯიბრების ცხრილს სათავეში მოექცნენ გასული წლის ჩემპიონი, პრაღის „დუკლა“ და ბრატისლავის „რუდა გვეზდა“. „დუკლას“ გარდა ამისა, უხდებოდა ევროპის ჩემპიონატის თასზე თამაში, სადაც მან სძლია ზაგრების „დინამოს“ და გავიდა მერვედფინალში. მიუხედავად იმისა, რომ „დუკლას“ შემადგენლობაში შედიან ჩეხოსლოვაკიის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები ნოვაკი, ჩადეკი, მაზოპუსტი, პლუსკალი, ბოროვიჩკა და სხვანი, გუნდმა მე-7 ტურში განიცადა გამანადგურებელი დამარცხება (0:4) „რუდა გვეზდასთან“ შეხვედრაში და მეტად გაიუარესა თავისი სატურნირო მდგომარეობა.

7 ტურის შემდეგ 11 ქულით პირველ ადგილზეა „რუდა გვეზდა“, რომელსაც ერთი ქულით ჩამორჩებიან პრაღის „დინამო“ და პრეშოვის „ტატრანი“.

* * *

გდრ-ს ჩემპიონატში 22 ტურის შემდეგ ლიდერობას მტკიცედ ინარჩუნებს „ფორვერტსი“ (ბერლინი), თავისი წოდების შენარჩუნების არავითარი შანსები აღარა აქვს გასული წლის ჩემპიონს „ვისმუტს“ (კარლ-მარქს-შტადტი), რომელიც ერთხანს აუტსაიდერთა რიგებშიც კი იმყოფებოდა. „ვისმუტმა“ რამდენადმე გამოასწორა მდგომარეობა და ახლა მეექვსე ადგილზეა. სამაგიეროდ მან წარმატებას მიაღწია ევროპის ჩემპიონების თასის გათამაშებაში და გავიდა მერვედფინალში.

• • •

სოფიის გუნდი ც დ ნ ა, რომელმაც წელს პირველი ადგილი დაიკავა მოძმე ქვეყნების არმიელთა სპარტაკიადაზე, უკანასკნელი წლების მანძილზე ყოველგვარი კონკურენციის გარეშე თამაშობს ბულგარეთში და ეროვნული ნაკრებიც მთლიანად ამ გუნდის მოთამაშეებისაგან არის დაკომპლექტებული. ც დ ნ ა მტკიცედ ლიდერობს ბულგარეთის 1958-59 წლების ჩემპიონატში. მომდევნო ადგილებზე არიან სოფიის გუნდები „სლავია“, „ლოკომოტივი“, „ლევსკი“ და პლოვდივის „სპარტაკი“.

ც დ ნ ა კენჰისყრის შედეგების თანახმად არ მონაწილეობდა ევროპის ჩემპიონების თასის გათამაშების შესარჩევ თამაშებში. იგი პირდაპირ გავიდა მერვედფინალში. აქ მისი მეტოქეა ესპანეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ატლეტიკო“ (მადრიდი). ამ კლუბის შემადგენლობაში ამჟამად თამაშობს ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ცენტრფორვარდი ვავა. ირლანდიის ჩემპიონ „დრუმკონდრასთან“ შეხვედრაში, რომელიც „ატლეტიკომ“ დიდი ანგარიშით (8:0) მოიგო, ვავამ გაიტანა 3 ბურთი.

# ახმეტა

3 დღეს გრძელდებოდა სარაიონო შეჯიბრება კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთსა და მძლეოსნობაში რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების მონაწილეობით. ვაჟთა შორის ფრენბურთში გაიმარჯვეს ახმეტის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, ქალთა შორის საუკეთესო იყო აწყურის გუნდი. ფეხბურთში შეჯიბრება დამთავრდა ქისტაურის გუნდის გამარჯვებით. მძლეოსნობის ცალკეულ სახეობებში კარგი შედეგები ჰქონდათ ვ. ცაძიკიძეს, მ. ალხანაიძეს, ი. ბექურიძესა და სხვ.

***

ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მოეწყო კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნები, სარბენი ბილიკები. სპორტსმენთათვის შეძენილია სპორტული ინვენტარი და ფორმა.

ვ. ყუშიტაშვილი

★

# მსოფლიო ჩემპიონი

ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანი არაა, რაც კულტივირებულია 100-უჯრიანი შაში, კერძოდ, სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატი ჩატარდა ამ ხუთიოდე წლის წინათ. 4 პირველობაში ჩემპიონის წოდება სამჯერ მოიპოვა ი. კუპერმანმა (მეოთხეში მას მონაწილეობა არ მიუღია). გასულ წელს საბჭოთა კავშირში მოეწყო პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც გაიმარჯვა კვლავ ი. კუპერმანმა. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ საერთაშორისო საშაშო ფედერაციამ ი. კუპერმანი მიიწვია მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ტურნირზე ჰოლანდიაში და მიანიჭა მას გროსმაისტერის წოდება. ტურნირი, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩატარდა, დამთავრდა საბჭოთა გროსმაისტერის ბრწყინვალე გამარჯვებით. ამის შემდეგ ი. კუპერმანი წარმატებით გამოვიდა ჰააგის საერთაშორისო ტურნირშიც.

მსოფლიო პირველობა 100-უჯრიან შაში, რომელიც ეწყობა 1894 წლიდან, ტრადიციული შეჯიბრებაა. იგი იმართება ყოველწლიურად. ჯერ ერთმანეთს ხვდებიან პრეტენდენტები, ხოლო შემდეგ გამარჯვებული თამაშობს მატჩს მსოფლიო ჩემპიონთან. მხოლოდ ნაკიან წელს იცავს მსოფლიო ჩემპიონი თავის ტიტულს დიდ ოლიმპიურ ტურნირში.

ამას წინათ ი. კუპერმანმა ანგარიშით 11:9 დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი, კანადელი გროსმაისტერი დელორე და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი. ი. კუპერმანი 36 წლისაა. იგი პროფესიით ინჟინერია და მუშაობს კიევში „უკრპრომპროექტში“. კუპერმანს მონაწილეობა მიუღია კახოვკისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურების დაპროექტებაში. ნიჭიერმა გროსმაისტერმა შაშის თამაში ბავშვობაში ისწავლა და უკვე 18 წლისამ მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება. კუპერმანი შაშის ათი წიგნის ავტორია.

მსოფლიო პირველობის საზეიმო დახურვაზე ი. კუპერმანმა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს დიდი მედლის მიღებისას განაცხადა: „ბედნიერი ვარ, რომ შევძელი დამეცვა ჩემი სამშობლოს სპორტული ღირსება. ჩემს წარმატებას უნდა ვუმადლოდე მთელ ჩვენს საბჭოთა საშაშო სკოლას და ჩემს მწვრთნელებს, სპორტის ოსტატებს ი. კოზლოვსა და ვ. კაპლანს“.

# გურჯაანი

ამ დღეებში გურჯაანის სპორტულ დარბაზში გაიმართა რაიონის შვიდწლიანი და საშუალო სკოლების ჭაბუკ კალათბურთელთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა 8 გუნდი.

უფროსი ასაკის მოსწავლეთა შორის პირველი ადგილი და რაიონის ჩემპიონის სახელი მოიპოვა სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლის გუნდმა. ამავე სკოლის კოლექტივმა გაიმარჯვა უმცროსი ასაკის მოსწავლეთა შორისაც.

ი. ოდიშელიძე

**რედაქტორი ი. უგულავა.**

საქართველოს მთამსვლელები იუწყებიან **გიგი ვახტანგის-ძე აბაშიძის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლებულის ოჯახს.

გამოსვენება ხუთშაბათს, დღის 3 საათზე, რერინგენის ქ. № 4.




თბილისი, „დინამოს“ სტადიონი, 16 ნოემბერი.

ერთმანეთს შეხვდებიან

თბილისისა და მოსკოვის ვეტერანთა ნაკრები გუნდები

დასაწყისი 14 ს.




18 ნოემბერი

ამხანაგური შეხვედრა საქართველოსა და უზბეკეთის ნაკრებ გუნდებს შორის

შეჯიბრება ჩატარდება სახელმწიფო ცირკის შენობაში

შეჯიბრების მთავარი მსაჯია თ. ფურცელაძე.

20-25 ნოემბერი

საქართველოს 1958 წლის პირველობა

მონაწილეობენ ქალაქებისა და რაიონების ...






შ ე ს ა ხ ე ბ

# განცხადება

პარასკევს, 14 ნოემბერს, ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის საჯარო სხდომაზე მოსმენილი იქნება საანგარიშო მოხსენებები: „საქართველოს პროფსაბჭოს ტრადიციული ალპინიადა“ — მომხსენებელი სპორტის ოსტატი კ. ასტახიშვილი და „თბილისის V ტრადიციული ალპინიადა“ — მომხსენებელი სპორტის ოსტატი დ. ობოლაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილი...
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, მდივ...
...ბისათვის: თბილისი, „ლელო“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინა...
№ 14. უე 06678